თეატრის საერთაშორისო ინსტიტუტი ITI
საშემსრულებლო ხელოვნების მსოფლიო ორგანიზაცია

თეატრის მსოფლიო დღე 2021 წლის – 27 მარტი

ჰელენ მირენი, გაერთიანებული სამეფო
თეატრის, კინოს და ტელევიზიის მსახიობი

ჰელენ მირენი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და ყველაზე პატივსაცემი მსახიობია, რომლის პროფესიული საერთაშორისო კარიერა, მოიცავს თეატრს, კინოს და ტელევიზიას, მას მიღებული აქვს მრავალი ჯილდო თავისი მძლავრი და მრავალმხრივი შესრულებისთვის, მათ შორის 2007 წლის ოსკარის პრემია „დედოფალში“ /The Queen/ შესრულებული მთავარი როლისთვის.

თეატრი

ჰელენ მირენმა თავისი სამსახიობო კარიერა დაიწყო კლეოპატრას როლით, ახალგაზრდულ ეროვნულ თეატრში. შემდეგ იგი გამოჩნდა მანჩესტერის დასში იქიდან კი შექსპირის სამეფო დასს შეუერთდა. ოთხი მნიშვნელოვანი წლის შემდეგ RSC (შექსპირის სამეფო დასი)– ში ჰელენმა სრულად შეცვალა თავისი შემოქმედება, როდესაც იგი სამუშაოდ წავიდა ცნობილ რეჟისორ პიტერ ბრუკის თეატრალურ დასში /Centre de Recherche Thé worktral/ და საგასტროლოდ გაჰყვა მას აფრიკასა და ამერიკაში.

მას შემდეგ მისი თეატრალური მოღვაწეობა მოიცავს უამრავ სპექტაკლს ვესტ – ენდში, ფრინჯში, RSC– ში, ნაციონალურ თეატრში და ბროდვეიზე აშშ – ში, მათ შორის „ერთი თვე სოფლად“ , რისთვისაც მან მიიღო ტონის პრემია და „სიკვდილის როკვა“ ბროდვეიზე იან მაკკელანთან ერთად.

მის წარმატებულ წარმოდგენებს შორისაა „ორფეოსი“Donmar Warehouse -ში და „ტრაური ელექტრას ხვედრია“ ლონდონის ნაციონალურ თეატრში, რომლისთვისაც მას მიენიჭა ოლივიეს პრემია საუკეთესო ქალის როლისთვის.

ლონდონის ნაციონალურ თეატრში იგი დაბრუნდა 2009 წელს,რასინის „ფედრაში“ მთავარი როლით, რეჟისორი ნიკოლას ჰიტნერი. ეს სპექტაკლი გახდა პირველი რომელიც გადაიღო NTLive და მთელს მსოფლიოში იქნა ნაჩვენები კინოთეატრებში

.

მისი ყველაზე ცნობილი ბოლო სპექტაკლი ვესტ-ენდში გახლდათ 2013 წელს, დედოფალ ელიზაბეთ II -ის როლში პიტერ მორგანის დადგმაში და *The Audience* სტივენ დელდრის რეჟისურით.

მან მოიგო ოლივიეს პრემია და პრემია What's On Stage საუკეთესო მსახიობი ქალისთვის. 2015 წლის თებერვალში *The Audience* გადავიდა Gerald Schoenfeld Theatre -ში, ნიუ-იორკში, სადაც ჰელენ მირენი კვლავ მთავარ როლში იყო, რისთვისაც მან მიიღო ტონის ჯილდო საუკეთესო მსახიობი ქალისთვის.

კინო და ტელევიზია

თეატრალურ კარიერასთან ერთად ჰელენ მირენი ძალიან ცნობილია თავისი შესანიშნავი მიღწევებით კინოში და ტელევიზიაში.

2003 წელს ელენე მირენი ებოძა ბრიტანეთის იმპერიის ქალბატონის / Dame/ წოდება .

მეტი ინფორმაცია მისი მოღვაწეობის შესახებ სცენაზე, კინოში და ტელევიზიაში, აგრეთვე მის საქველმოქმედო მოღვაწეობაზე და მისი ცხოვრების შესახებ შეგიძლიათ იხილოთ მის ვებგვერდზე: **www.helenmirren.com**